



**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს სხდომის
ოქმი N 5**

ქ. ლანჩხუთი

17. 05. 2017 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ბესიკ ტაბიძე, საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ჯუმბერ ბლაგიძე, საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარების“ თავმჯდომარე გოგი მორჩილაძე, საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე ემზარ თევდორაძე, საკრებულოს ფრაქცია „მეტი ქალი პოლიტიკაში“ თავმჯდომარე ნონა მურვანიძე, საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-მრეწველები“ თავმჯდომარე კახაბერ გუჯაბიძე, საკრებულოს ფრაქცია „უკეთესი ლანჩხუთისათვის“ თავმჯდომარე ომარ გოგიჩაიშვილი, საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიმიგური, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების უფროსი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილების მთავარი სპეციალისტი ვალერი წულაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია. გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი შოთა ჩაგუნავა. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ივესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორი გელა ზოიძე. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ივესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის, ტრანსპორტის სამსახურის უფროსი რამაზ ჭელიძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ დღის წესრიგის განსაზღვრის შემდეგ მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოვიდა ერთი საკითხი, რომელიც დაემატა დღის წესრიგის პროექტს.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტის შესწორებული ვარიანტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე /

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი რ. ბიწაძე /

4. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი შ. ჩაგუნავა/

5. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე.

/მომხსენებელი გ. ფაცურია/

6. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი წ. ბიწამე /

7. სხვადასხვა:

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის თარიღად განისაზღვრა 2017 წლის 30 მაისი, 11 საათი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს შესაბამისად, მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში შეუძლია განსაზღვროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების პარკირების ადგილებით უზრუნველყოფა და დგომის/გაჩერების წესების რეგულირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურისა და ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ მომზადდა შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომლითაც

მოხდება: ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით ავტომანქანის პარკირების ორგანიზებულობის, საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების, საგზაო მოძრაობის მონაწილეთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ასევე პარკირების სფეროს განვითარება და ლანჩუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში დამატებითი შემოსავლების მიღება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით მიზანშეწონილია საკრებულომ განიხილოს და მიიღოს ნორმატიული აქტის პროექტი.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე **ალექსანდრე სარიშვილი** დაინტერესდა, ტარიფები ვინ უნდა დააწესოს და რა ოდენობის განაკვეთები უნდა განისაზღვროს.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურიამ** განმარტა, რომ პარკირების ტარიფებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ორგანო წარუდგენს საკრებულოს, რომლის მიერ მოხდება მისი დამტკიცება. მისი თქმით ამ ეტაპზე ხდება პარკირების წესის მიღება, რომლის დამტკიცების გარეშეც ვერ მოხდება პარკირების ტარიფების განსაზღვრა ამა თუ იმ ადგილზე.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ პარკირების ნიშნები არაკანონიერად არის განთავსებული. მისი განცხადებით უმჯობესი იქნება წამოდგენილ დოკუმენტს თუ დაემატება კიდევ ერთი პუნქტი, რომლის მეშვეობითაც დარეგულირდება აღნიშნული საკითხი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის წინ დადგული პარკირების ნიშნისა აღნიშნულ ტერიტორიაზე ავტომანქანები კვლავ ქაოტურად დგანან. მისი თქმით უნდა განისაზღვროს თუ რომელ ზოლში, ვინ უნდა გააჩეროს ავტომობილი.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრალურ სკვერში გაკეთებული ავტოსადგომი არის ძალიან საფრთხის შემცველი მოსახლეობისთვის. მისი თქმით, მოქალაქემ ორჯერ უნდა გადაკვეთოს ცენტრალური მაგისტრალი რათა სავაჭრო ცენტრში მივიდეს, რაც საკმაოდ სახიფათოა. დეპუტატის განცხადებით საფუძვლიანად უნდა შეისწავლოს შესაბამისმა სამსახურმა საკითხი, დადოს კომპეტენტური დასკვნა, არის თუ არა მოსახლეობისთვის საფრთხის შემცველი აღნიშნულ ტერიტორიაზე გადაადგილება.

ა(ა)იპ ლანჩუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირთა განვითარების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის, ტრანსპორტის სამსახურის უფროსმა **რამაზ ჭელიძემ** აღნიშნა, მოსახლეობის გამოკითხვის შემთხვევაში უმრავლესობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ავტოსადგომი არის ქალაქისთვის კარგი, ვინაიდან საგმნობლად განტვირთა სავაჭრო ცენტრთან ავტომანქანების

ნაკადი. რაც შეეხება გზის გადაკვეთის უსაფრთხოების საკითხს მიმდებარე ტერიტორიაზე მოქმედებს ორი ე.წ. ზებრა გადასასვლელი, რომელიც მოსახლეობისთვის უსაფრთხო გადაადგილებას განაპირობებს.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ სამაშველო სამსახურიდან გამოსასვლელ გზაზე სატვირთო ავტომანქანების მძღოლები ხშირ შემთხვევაში უმეთვალყურეოდ ტოვებენ ავტომანქანას, რაც ფაქტობრივად გზას უხერგავს და დაბრკოლებას უქმნის სამაშველო სამსახურს. მისი თქმით აუცილებელია აღნიშნულ ადგილზე დაიდგას შესაბამისი ამკრძალავი საგზაო ნიშანი.

ფრაქცია „ქართული ოცნება მრეწველების“ თავმჯდომარემ **კახაბერ გუჯაბიძემ** აღნიშნა, რომ როგორც ზემოთ ითქვა, პარკირების შემოღება პირველ რიგში განპირობებულია შემოსულობების მიღების მიზნით, რაც არ არის მართებული. მისი თქმით, აფთიაქთან ან საავადმყოფოსთან გაჩერებული მოქალაქის ავტომობილი არ უნდა დაექვემდებაროს გადასახადის გადახდას.

ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორმა **გელა ზოიძემ** აღნიშნა, რომ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში უკვე მრავალი წელია მოქმედებს პარკირების წესები. აღნიშნული დოკუმენტის დამტკიცება მნიშვნელოვნად მოაწესრიგებს მუნიციპალიტეტში პარკირებასთან დაკავშირებულ სირთულეებს. ასევე დასაქმდება ადამიანები, რომლებიც დაარეგულირებენ ადგილზე ავტომობილების დაყენებას. მოქალაქეებს ექნებათ ასევე ალტერნატიული უფასო პარკირების შესაძლებლობა. მისი თქმით, ეს არ არის გათვლილი მუნიციპალიტეტისთვის რაიმე დიდ შემოსულობებთან, მთავარი აქცენტი გაკეთებულია პარკირების წესების მოწესრიგებაზე.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** თხოვნით მიმართა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს, შოთა ჩაგუნავას პარკირების ტარიფებთან, ასევე სანქციებთან დაკავშირებით გარკვეული სამართლებრივი შეფასება გაეკეთებინა.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტზე მუშაობის დროს აქცენტი გადატანილი იყო არა პარკირების ტარიფებზე, არამედ აღნიშნული დოკუმენტი შესაბამისობაში ყოფილიყო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კოდექსთან.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ ბიუროს სხდომაზე განსხილველი საკითხები ბიუროს ყველა წევრს მინიმუმ 10 დღით ადრე ელექტრონულად ეგზავნება. მან თხოვნით მიმართა ბიუროს წევრებს სხდომამდე საფუძვლიანად გაეცნონ ამა თუ იმ დოკუმენტს, რათა ბიუროს სხდომაზე ყველა წევრი საკითხის ყველა დეტალზე მომზადებული იყოს. მისი თქმით, როგორც სხდომაზე გაჟღერდა, უპრიანი იქნება დოკუმენტს დაემატოს კიდევ ერთი პუნქტი, რომელიც გულისხმობს ადმინისტრაციული შენობის წინ საგზაო ნიშნების მოწესრიგებას. ასევე ინიციატივით გამოვიდა, საკითხთან დაკავშირებით მოწვეული იქნას საგზაო პოლიციის უფროსი ან მოადგილე. მან ასევე

თხოვნით მიმართა ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმის და მეწარმეობის განვითარების ცენტრის დირექტორს გელა ზოიძეს პარკირებების საკითხთან დაკავშირებით განიხილონ რამდენიმე მუნიციპალიტეტის მაგალითი, სადაც წარმატებით განხორციელდა მსგავსი პროექტი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავტომანქანების პარკირების მარეგულირებელი ნორმების - ავტომანქანების პარკირების ადგილების განსაზღვრისა და ავტომანქანების პარკირების წესების დადგენის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ცვლილება ეხება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის რეგლამენტში ტექნიკური ხარვეზის გასწორებას. ასევე ცვლილებების შედეგად გამიჯნული

იქნება და დაკონკრეტებული საკრებულოს კომისიების, ფრაქციების უფლებამოსილებები და პროცედურულ საკითხებთან დაკავშირებით ვადები. ზემოთაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ მიიღოს გადაწყვეტილება „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის N13 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

ბიუროს წევრები მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №13 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 26 სექტემბრის №35 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.
2. დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.
3. პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.
4. მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელაძემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა, შოთა ჩაგუნავამ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ 2016 წლის მანძილზე მომზადდა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების, განკარგულების და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებლის დადგენილების 11 პროექტი; ბრძანებების პროექტები.

სამსახურის მიერ მომზადდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების შესახებ 21, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 21 და შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების შესახებ 11 ბრძანება.

პასუხი გაეცა სამსახურში შემოსულ კორესპონდენციებს (წერილები, განცხადებები) სამსახურის მიერ ხდება სხვადასხვა სამსახურების მიერ მომზადებული წერილებისა და სამართლებრივი აქტების პროექტების ვიზირება. სამსახური ჩართულია სასამართლო პროცესებში, იურიდიულ კონსულტაციას უწევს გამგეობის სამსახურებს, ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებს და სპეციალისტებს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის იურიდიული სამსახური ასრულებს ტიტანურ სამუშაოს, ყველა დოკუმენტის, ყველა პროექტის შედგენაში აქტიურად არის ჩართული. ლეგალიზაციის საკითხების განხილვის დამატებამ კიდევ უფრო შრომატევადი გახადა სამსახური. იგი დაინტერესდა არის თუ არა აღნიშნული სამსახურში შტატების დამატების აუცილებლობა ან სამსახურის სტრუქტურული გაზრდა.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** აღნიშნა, რომ იურიდიულ სამსახურს ძალიან დატვირთული სამუშაოს შესრულება უწევს. მისი თქმით ამ მოცულობითი სამუშაოსთვის იურიდიულ სამსახური არ არის გამორიცხული, რომ გაფართოვდეს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძე** აღნიშნა, რომ აუცილებელია იურიდიულ სამსახური გაფართოვდეს. მას უნდა დაემატოს ერთი განყოფილება.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე **რომან ბიწაძე** დაინტერესდა გამგეობის იურიდიულმა სამსახურმა 2016 წელს საკრებულოს რამდენი განკარგულების და დადგენილების, ასევე მუნიციპალიტეტის გამგებლის რამდენი სამართლებრივი ნორმატიული აქტის პროექტი მოამზადა. იგი დაინტერესდა, თუ რამდენი სასამართლო დავა გადაწყდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ 2016 წელს მომზადდა გამგებლის 11 დადგენილების პროექტი, ხოლო ბრძანება 200 მეტი. 16 სასამართლო პროცესიდან 11 გადაწყდა მუნიციპალიტეტის სასარგებლოდ, რამოდენიმე განჩინებაზე დავა მიმდინარეობს, მისი თქმით ფაქტობრივად წაგებული არის მხოლოდ ერთი სასამართლო პროცესი.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ შენობაში წლების განმავლობაში უკანონოდ შეჭრილი არის გაზეთის რედაქცია. მან არაერთხელ გააჟღერა აღნიშნული საკითხი, როგორც ბიუროს ასევე საკრებულოს სხდომებზე, მაგრამ დღემდე საკითხის მიმართ რეაგირება არ მომხდარა. მან კითხვა დასვა თუ

დაინტერესდა გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, როგორც საჯარო მოხელე ამ ფაქტით.

გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** განმარტა, რომ ცალსახაა ქონება რომელიც ეკუთვნის მუნიციპალიტეტს უნდა გამოიყენოს მუნიციპალიტეტმა.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა, რომ ამ საკითხზე ყველა სამსახური რატომღაც თავს არიდებს საუბარს და ქმედითი ნაბიჯის გადადგმას, მისი თქმით საქმე გვაქვს, პროვინციულ, საჯარო კორუფციასთან.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ ყოფილი რედაქციის შენობას გადახდილი აქვს სახურავი, ჯერჯერობით ვერ დასრულდა გადახურვითი სამუშაოს შესრულება, ჩაედინება წყალი და შენობა ფაქტობრივად განადგურებულია, რაც აუცილებლად მისახედია.

საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, **რომან ბიწაძემ** აღნიშნა რომ, რედაქციის შენობის რემონტი არ იყო მიმდინარე რემონტად გათვალისწინებული, თუმცა ის არის სტიქიის კუთხით ჩასმული და ამ კორუფციაზე ყველა ხუჭავს რატომღაც თვალს.

საკრებულოს თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ** განმარტა, რომ გამგეობის იურიდიული სამსახური აქტიურად და ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან, საკრებულოში ყველა შემოსული დოკუმენტი არის გამართული, რაშიც დიდი დამსახურება მიუძღვის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსს შოთა ჩაგუნავას, ასევე საკრებულოს საორგანიზაციო განყოფილების მთავარ სპეციალისტს იურიდიულ საკითხებში ია მოქიას.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ამავე სამსახურის უფროსმა გაითვალისწინოს ის შენიშვნები და წინადადებები, რომელიც დაისვა ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხზე: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში სხდომას წარუდგინა გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, გიორგი ფაცურიამ. მან აღნიშნა, რომ სამსახურის მიერ 2016 წელს სხვადასხვა საკითხზე მომზადებული იქნა: 316 მოხსენებითი ბარათი და 1064 წერილი, განცხადება, მიმართვა. სულ 2016 წლის განმავლობაში

შემოსულია 1411 წერილი, განცხადება, მომართვა. ქონების მართვის განყოფილების მიერ მომზადებული იქნა დოკუმენტაცია სახელმწიფო ქონების მუნიციპალურ საკუთრებაში გადმოსაცემად და გადმოეცა საკუთრებაში: სოფელ აკეთში 54 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 34.2 კვ.მ შენობა-ნაგებობა. ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N74-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N27-ის მიმდებარედ არსებული მინი სტადიონი. ქ.ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N76-ის მიმდებარედ 30144.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სოფელ ნიგოთში მდებარე სტადიონი. სოფელ წყალწმინდაში საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა. სოფელ აკეთში 1074.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 37.2 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სოფელ აკეთში საბავშვო ბაგა-ბაღის და ამბულატორიის შენობები. სოფელ ნიგვზიანში საბავშვო-ბაგა ბაღის შენობა. სოფელ ჯურუყვეთში საბავშვო ბაგა-ბაღის შენობა (ახალი).სოფელ ჩიბათში სარაგბო სტადიონი.

სოფელ ჩოლობარგში 4400.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (იუსტიციის სახლის მიმდებარედ). სოფელ მაჩხვარეთში წყალსადენი. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქ. N76-ის მიმდებარედ არსებული მინი სტადიონი. ქ. ლანჩხუთში ჟორდანიას ქუჩაზე მდებარე მინი სტადიონი (საცურაო აუზის მიმდებარედ).სოფელი ლესა 1523.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული 807,5 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სოფელი გვიმბალაური ყოფილი საბაზო სკოლა. სოფელი შუხუთი კულტურის სახლი.სოფელი მამათი ყოფილი უნივერსიტეტის შენობა. სოფელი აცანა საერთო საცხოვრებელი.

მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და მოწვეული იქნა აუდიტორი მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების შესაფასებლად. შეფასებულ იქნა შემდეგი ქონება: ქ.ლანჩხუთი მარჯანიშვილის ქ. N 11-ბ-ში მდებარე 651,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N 126 - ის მიმდებარედ არსებული 56,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქ.ლანჩხუთი კვირკველიას ქ. N 16-ბ-ში მდებარე 103,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქ.ლანჩხუთი კვირკველიას ქ. N 16-გ-ში მდებარე 202,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N 74 - ის მიმდებარედ არსებული 82,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 59,8 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სოფელი ჩიბათი სკვერი. სოფელი აცანაში 865,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული 394,00 კვ.მ შენობა-ნაგებობა. სოფელი მაჩხვარეთი წყალსადენი. ქ.ლანჩხუთი ჟორდანიას ქ. N 82 - ის მიმდებარედ არსებული 1000.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. სოფელ ჭყონაგორაში საბანკეტო სახლის სამზარეულოს ინვენტარი.სოფელ ჭყონაგორაში საბანკეტო დარბაზი. სოფელი გვიმბალაურში ტექნიკური სასწავლებლის ყოფილი საერთო საცხოვრებელი.ავტომობილი „SKODA – OCTAVIA“ . სოფელი შუხუთი კულტურის სახლი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის საფეხბურთო კლუბი „ლანჩხუთის გურია“-ს მართვის 100%-იანი წილის საბაზრო ღირებულება. სოფელი გრიგოლეთში მდებარე საბეხბურთო ბაზა.

მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულებები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ აკეთში მდებარე 366,8

კვ.მ. შენობა-ნაგებობაზე და გადაეცა ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრ“-ს მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება სოფელ გვიმბალაურში მდებარე N2 შენობა-ნაგებობაზე და გადაეცა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრ“-ს. მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულებები ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ სოფელ წყალწმინდაში მდებარე 600 კვ.მ. არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ 413,5 კვ.მ შენობა-ნაგებობაზე და გადაეცა ა(ა)იპ „ლანჩხუთის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრ“-ს

მომზადებული იქნა დოკუმენტაცია და გაფორმდა უზუფრუქტის ხელშეკრულება სოფელ ჩიბათში მდებარე 7 809,00 კვ.მ. არასაოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე და გადაეცა ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრ“-ს.

მომზადებულ იქნა დოკუმენტაცია ბინის ლეგალიზაციაზე და გადაეცა საკუთრებაში ქ. ლანჩხუთში მცხოვრებ 6 მოზინადრეს.

ინტესიურ რეჟიმში ხდება სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოდან და სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციიდან შემოსული კორესპოდენციების მიღება, დამუშავება და პასუხის გაცემა.

ყოველდღიურ რეჟიმში ხდება სხვადასხვა სამინისტროებიდან, ორგანიზაციებიდან და მოსახლეობიდან მიღებული განცხადებებისა და წერილების განხილვა და პასუხის გაცემა.

ჩვენი განყოფილების თანამშრომლების მიერ მომზადებული იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებისათვის და საუქციონო მასალების მომზადება.

ელექტრონული აუქციონის ფორმით მოხდა 49 ობიექტზე აუქციონის გამოცხადება და განხორციელდა 47 ობიექტის პრივატიზება; ამავე ობიექტებზე გაფორმდა შესაბამისი ოქმები და ხელშეკრულებები.

-პრივატიზებიდან შემოსულია - 259464.64 (ორასორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასსამოცდაოთხი ლარი და 64 თეთრი) ლარი.

-მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მატერიალურ ფასეულობათა აღრიცხვა-ინვენტარიზაცია. „ მცირემიწიან ფერმერთა 2016 წლის საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი“-ს ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მონაწილეობა მიიღო 13793 ბენეფიციარმა, აქედან 0,25 ჰა -დან 1,25 ჰა-მდე სასოფლო-სამეურნეო ფართობის მფლობელ 11945 ბენეფიციარის სახნავი ბარათი (7018 ჰა) ჩამოვიდა გამგეობაში სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს წარმომადგენლების მეშვეობით და გადაეცათ გამგებლის წარმომადგენლებს შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის მიხედვით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით, ბეჭედით და ხელმოწერებით, გამგებლის წარმომადგენლებს პროექტების მართვის სააგენტოდან, გამგეობის მეშვეობით, გადაეცათ ასევე პროექტში მონაწილეობისათვის საჭირო ბეჭდები (მათზე დატანებულია ადმინისტრაციული ერთეულის სახელწოდებები), რომელსაც იყენებენ სახნავ ბარათზე ამა თუ იმ ოპერაციის შესრულების დასადასტურებლად . 0,25 ჰა ქვემოთ სასოფლო-სამეურნეო მფლობელ 1285 ბენეფიციარს (235 ჰა) და მრავალწლოვანი ნარგავებით გაშენებულ ფართობების მფლობელ 729 ბენეფიციარს (283 ჰა)

დაერიცხათ „აგრო ქულები“ მათ ფლობელობაში არსებულ აგროპლასტიკურ ბარათებზე რომელსაც გასცემს „ლიბერთი“ ბანკი.

უშუალოდ ხვნის სამუშაოების დაწყების მომენტამდე სოფლის მეურნეობის სამინისტროში 5 ეტაპად გაიგზავნა 384 ეგრეთ წოდებული „პრობლემური“ ბენეფიციარის მონაცემები, ასევე სოფლის მეურნეობის სამინისტროში გაიგზავნა დამატებით 88 ახალი ბენეფიციარის პირადი მონაცემები მიწის საკუთრების დამადასტურებელი საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე. ხვნის სამუშაოებში მონაწილეობას იღებდა შპს „მექანიზატორი“-ს 3 ბრიგადა (28 ერთეული) და ადგილობრივი მექანიზაციის 7 ბრიგადა (38 ერთეული), ადგილობრივი ბრიგადები მუშაობდნენ: მამათის, გვიმბალაურის, ჩიბათი, ლესის, ღრმაღელის, ჩოჩხათის და ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხოლო შპს „მექანიზატორი“ ბრიგადები ხვნის სამუშაოებს ასრულებდნენ: აკეთის, აცანის, ნიგოითის, ქ.ლანჩხუთის, მაჩხვარეთის, შუხუთის, სუფსის, ნიგვზიანის და ჯურუყვეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში.

მუნიციპალიტეტში მოიხნა 4890 ჰა მიწის ფართობი და დაითესა 4650 ჰა მიწის ფართობი.

ხვნა-თესვის პროცესის თანმიმდევრულად მიმდინარეობდა და მიმდინარე წლის 18 ნოემბრამდე გრძელდებოდა მოსახლეობის მხრიდან გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სახნავი ბარათების შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გამგებლის წარმომადგენლებთან, დაბრუნება, ხოლო შემდგომ გამგებლის წარმომადგენლების მიერ აღნიშნული ბარათების მუნიციპალიტეტის გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილებაში წარდგენა, გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილებამ დაბრუნებული სასოფლო-სამეურნეო ბარათები ჩაიტანა სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოში. მხოლოდ ამის შემგომ ეს ბარათები შესაბამისი სარგებელით „აგროქულების“ სახით დაუბრუნდათ მათ მფლობელებს სასუქისა და შხამქიმიკატების შესაძენად ამისთვის განკუთვნილ სლევიალური ნებართვის მქონე სასოფლო-სამეურნეო მაღაზიებში. დაბრუნებული ხვნის ბარათების რაოდენობამ მუნიციპალიტეტის მაშტაბით შეადგინა 5679 ცალი (3285 ჰა), აღნიშნული ბარათები პროექტების მართვის სააგენტოში ჩატანილი იქნა 7 ეტაპად.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2016 წლის პირველ ნახევარში ჩატარდა მსხვილფეხა რქოსანი და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის „თურქულის“ საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია, აიკრა 19621 მსხვილი რქოსანი და 667 წვრილი რქოსანი პირუტყვი, ხოლო 2016 წლის ნოემბრის თვიდან მუნიციპალიტეტის მაშტაბით ჩატარდა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ვაქცინაცია ნოდულარული დერმატიტის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური ვაქცინაცია. აიკრა 17171 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ვაქცინაციას აწარმოებდა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს გურიის რეგიონალური სამმართველოს სპეციალისტები, მუნიციპალიტეტის მხრიდან ვაქცინაციის ორგანიზებულად ჩატარებას უზრუნველყოფდნენ გამგებლის წარმომადგენლები შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულებში, ხოლო მთლიანად ვაქცინაციის პროცესებს კურირებდა გამგეობის სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილება.

სოფლის მეურნეობის განვითარების განყოფილების მიერ ხორციელდებოდა ციტრუსის დამზადებისა და რეალიზაციის მონაცემთა დამუშავება, დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტში დამზადებული და რეალიზებულია 2000 ტონაზე მეტი ციტრუსი.

შემუშავებულ იქნა ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის გადახდის შესახებ ხელშეკრულების ფორმები; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ას ოთხმოც იურიდიულ პირთან გაფორმდა ხელშეკრულება საიდანაც ყოველთვიურად 1460 ლარის მობილიზება დაიგეგმა;

2016 წლის საპრივატიზაციო გეგმა განსაზღვრული იყო 866736 (რვაას სამოცდაექვსიათას ოცდათექვსმეტი) ლარის ოდენობით. ელექტრონული აუქციონის ფორმით მოხდა 49 ობიექტზე აუქციონის გამოცხადება და განხორციელდა 47 ობიექტის პრივატიზება; ამავე ობიექტებზე გაფორმდა შესაბამისი ოქმები და ხელშეკრულებები; პრივატიზებიდან შემოსულია - 259464.64 (ორასორმოცდაცხრამეტი ათას ოთხასსამოცდაოთხი ლარი და 64 თეთრი) ლარი; მოძიებულ იქნა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ბუნებრივი რესურსების ლიცენზიის მფლობელთა საიდენტიფიკაციო მონაცემები; დამუშავდა ელექტრონული ბაზა და დადგინდა ლიცენზიით სარგებლობისას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გადასახდელი მოსაკრებლის ოდენობა. რომელიც ლიცენზიის სრული სარგებლობის პერიოდისთვის 1 323 000 (ერთიმილიონ სამასოცდასამი ათასი) ლარს შეადგენს; წლის მანძილზე ხორციელდებოდა სარგებლობის ფორმით გაცემული ქონების ქირის გადახდის მონიტორინგი და ადმინისტრირება; აუქციონით სარგებლობის ფორმით გაცემული იყო ექვსი ხელშეკრულება. ამათგან მოქმედია ხუთი. ქირის გადაუხდელობის გამო მოხდა ხელშეკრულების შეწყვეტა შპს „ეტალონთან“. 2016 წლისათვის შემოსულია მუნიციპალური ქონების სარგებლობისათვის გათვალისწინებული ქირა - 5346 (ხუთიათას სამასორმოცდაექვსი) ლარის ოდენობით.

საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ, **ჯუმბერ ბლაგიძემ** აღნიშნა, რომ გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური წარმოადგენს გამგეობის ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ ნაყოფიერ სამსახურს რომელიც მაღალ შეფასებას იმსახურებს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არის რიგი შენობა-ნაგებობებისა, რომლებიც საჭიროებენ გადაუდებელ სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებას, რომლებიც შემდგომ უნდა გასხვისდეს და მოეძებნოს მეპატრონე. ესენია: ყოფილი ინტერნატის შენობა, ასევე ნინოშვილის ქუჩაზე მდებარე ყოფილი მეთესლეობის შენობა, რომელშიც იგეგმებოდა ჭადრაკის სახლის განთავსება. იგი დაინტერესდა გადმოცემულია თუ არა აღნიშნული შენობა-ნაგებობები მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა **გიორგი ფაცურია**მ განმარტა, რომ შენობა-ნაგებობების გადმოცემაზე სამსახურს გაგზავნილი აქვს მოთხოვნა, რომელზეც ჯერ პასუხი არ მოსულა, იგი იმედოვნებს, რომ აღნიშნული შენობა-ნაგებობები გადმოვა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ ყოფილი კოლმეურეობების ბაზაზე შექმნილი კოოპერატივების ბალანსზე რიცხული შენობები არის უმეტესობა გამოუსადეგარი და ამორტიზირებული. ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში მოქალაქე ითხოვს მსგავსი ტიპის შენობა-ნაგებობის დროებით სარგებლობაში გადაცემას, რათა გეგმავს სოკოს საწარმოს დაარსებას, სადაც დასაქმდება რამოდენიმე ადგილობრივ მოსახლე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **გიორგი ხელაძემ** აღნიშნა, რომ საკრებულოში ყველა მსგავსი პროექტი რომელიც ხელს შეუწყობს მეწარმეობის განვითარებას და მოსახლეობის დასაქმებას, მაქსიმალურად იქნება მხარდაჭერილი.

ცნობად იქნას მიღებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ 2016 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში. ამავე სამსახურის უფროსმა გაითვალსიწინოს ის შენიშვნები და წინადადებები, რომელიც დაისვა ბიუროს სხდომაზე.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხზე: „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ, რომან ბიწაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ინიციატივა, სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭების დაკავშირებით, ვასილ ჩხაიძე გახლდათ ქვეყნის საამაყო მამულიშვილი, გამოჩენილი ქართველი მსახიობი. გარდა ამისა, მის ხელში აღიზარდა თაობები, მრავალი წლის მანძილზე გახლდათ სოფელ აცანის საშუალო სკოლის რუსულისა და გერმანული ენის პედაგოგი.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ აცანის საჯარო სკოლისათვის ვასილ ჩხაიძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისათვის ძირითად კომისიად განისაზღვროს

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2. განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო“, „ქართული ოცნება–კონსერვატორები“, „დამოუკიდებელი“, „მაჟორიტარები“, „ქართული ოცნება - მრეწველები“, „ლანჩხუთი ევროატლანტიკური მომავლისათვის“, „მეტი ქალი პოლიტიკაში“ და „უკეთესი ლანჩხუთისათვის“.

3. პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისათვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 მაისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4. მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე რომან ბიწამე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, გიორგი ხელამემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

სხვადასხვა:

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ა(ა)იპ ტექსერვისი საქმიანობა რომელიც დაკავშირებულია ნიგვზიანის ადმინისტრაციული ერთეულის წლის მომარაგებასთან შეუმცირდა დაფინანსება, რომელიც ფიზიკურად ვერ შეძლებს სამუშაოების განხორციელებას და მოსახლეობა ფაქტობრივად წლის გარეშე დარჩება.

საკრებულოს ფრაქცია „დამოუკიდებელის“ თავმჯდომარე **ემზარ თევდორაძემ** აღნიშნა, რომ გარე განათების ბოძებზე დამონტაჟებული ნათურები არის უხარისხო, რომელიც რამდენიმე თვეც კი ვერ ძლებს. მისი თქმით, უმჯობესია შეძენილ იქნას უფრო მაღალი ხარისხის გარე განათების ნათურები.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ, **ია ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ ჭადრაკის სკოლისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია შენობის გამონახვა, ვინაიდან ბავშვებს ფაქტობრივად ღია ცის ქვეშ უხდება მეცადინეობის ჩატარება.

სხდომის თავმჯდომარის ნებართვით ბიუროს სხდომაზე დამსწრე დეპუტატმა ადამ ხუხუნიანი ადნიშნა, რომ მან არაერთხელ დააყენა საკითხი ჭადრაკისთვის შენობის გამოყოფის თაობაზე, თუმცა ჯერჯერობით ამ საკითხზე რეაგირება არ მომხდარა. მისი თქმით გაუსაძლის პირობებში ხდენა მეცადინეობების ჩატარება და ამ ფონზე ბავშვები მაინც დიდი წარმატებებით ასპარეზობენ შეჯიბრებებზე. მისი თქმით სასრაფოდ უნდა გამოინახოს ალტერნატიული შენობა და მასში განთავსდეს ჭადრაკის სკოლა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

გიორგი ხელაძე



საკრებულოს თავმჯდომარე

საკრებულოს ბიურო